ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 16

29 იანვარი 2019 წელი

ქალაქი ბათუმი

ერთი მხრივ, **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო** (შემდგომში შემსყიდველი), მინისტრის პირველი მოადგილის ბაგრატ მანველიძის სახით და მეორე მხრივ, **სს „სილქნეტი"** (შემდგომში მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტის უფროსის მალხაზ ჟორჟიკაშვილის სახით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „დ" ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2012 წლის 26 სექტემბრის N1805 განკარგულების საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომ „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურების გაწევას მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5. "დღე", "კვირა", "თვე" – კალენდარული დღე, კვირა, თვე;

1.6. „მომსახურება" – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

1.7. „გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა" – მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი გასაწევი მომსახურების ხარჯთაღრიცხვა, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია შემსყიდველის უზრუნველყოფა ინტერნეტმომსახურებით ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (12 თვე) დანართის შესაბამისად (CPV-72410000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 8550 (რვა ათას ხუთას ორმოცდაათი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით, დანართის შესაბამისად.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით გაწევასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. მომსახურების გაწევის ვადა, ადგილი და მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მომსახურების გაწევის ვადა განისაზღვრება 2019 წლის 1 თებერვლიდან 2020 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

4.2. მომსახურების საბოლოო მიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

4.3. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი წარმომადგენლები არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

5. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

5.1. მიმწოდებელთან ყოველთვიური ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საბანკო რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

5.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება მიმწოდებლის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 10 (ათი) საბანკო დღის ვადაში.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთითოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

6. გარანტია

მიმწოდებლმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება არსებული სტანდარტებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.
7.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული პირი.
7.3. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი ხორციელდება სისტემატიურად.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02 პროცენტის ოდენობით.
8.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. დაუძლეველი ძალა

9.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2. მხარეთა ვალდებულებები და პასუხისმგებლობა განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
10.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. შემსყიდველს შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, მიმწოდებლისათვის ვალდებულების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:
ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გასწიოს მომსახურება ან მისი ნაწილი;
ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულება;
გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
11.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.3. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

12. სადავო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

13. სხვა პირობები

13.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

13.2. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

13.3. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

13.4. ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

13.5. ხელშეკრულება ხელმოწერილია, შტამპდასმულია ელექტრონული ფორმით.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2020 წლის 05 მარტის ჩათვლით.

15. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:
აჭარის არ განათლების, კულტურისა
და სპორტის სამინისტრო
საქართველო, ქალაქი ბათუმი
ლ. გუდიაშვილის ქუჩა N4
ს/კ 245427667

მინისტრის პირველი მოადგილე
ბაგრატ მანველიძე

მიმწოდებელი:
სს „სილქნეტი"

საქართველო, ქალაქი თბილისი
წინამძღვრიშვილის ქ. N95
ს/კ 204566978
ს.ს. „საქართველოს ბანკი"
მფო BAGAGE22
ა/ა GE41 BG00 0000 0878 4150 00
კორპორატიული გაყიდვების
დეპარტამენტის უფროსი
მალხაზ ჟორჟიკაშვილი

SILKNET

დანართი N18

დამტკიცებულია სს „სილქნეტის" გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N01/26 ბრძანებით

დანართი NF2-P2P

ოპტიკური სილქ ინტერნეტ მომსახურების (P2P) სატარიფო გეგმა
(ფასები მოცემულია ლარში დღგ-ს ჩათვლით)

დანართის ტიპი

სტანდარტული -

არასტანდარტული პირობებით - √

თარიღი 29.01.2019

N	მომსახურების მიწოდების მისამართი	აბონენტ ო პაკეტი	აბონენტო გადასახდელი	ხიჩქარე	სერვისის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	აბონენტო ანგარიშის ნომერი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
1	ბათუმი, გუდიაშვილის ქუჩა N4	FOE EXCLUSIVE	675	გლობალი ხიჩქარე 15მბ წმ; ლოკალი-30 მბ/წმ;		90350945

ოპტიკურ ბოჭკოვანი კაბელის ინსტალაციის ერთჯერადი გადასახადი 200 (ორასი) ლარი

მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) ყოველთვიური საფასური	5
იმ შემთხვევაში, თუ აბონენტს ერთ ააბონენტო ანგარიშზე გააქტიურებული აქვს ფიქსირებული სადენიანი (VOIP) ქსელით სატელეფონო მომსახურება, ოპტიკური ინტერნეტ მომსახურება და ოპტიკური სილქ ტვ მომსახურება, სამივე მომსახურების დროებით შეჩერების (დაპაუზების) ყოველთვიური საფასური	5

ინტერნეტ ქსელი მოწყობის საფასური (განისაზღვრება ინდივიდუალურად შესასრულებელი სამუშაოდან გამომდინარე და მოიცავს ქვემოთ მოყვანილი ტექნიკური მოწყობილობების ინსტალაციის საფასურს)	200 ლარი
ტექნიკური მოწყობილობები	
ოპტიკური მედია კონვერტორი (100 მბ) □	მოწყობილობით დროებით სარგებლობის საფასური გათვალისწინებულია ინტერნეტ მომსახურების ააბონენტო გადასახდელში
Wireless access point	გათვალისწინებულია ააბონენტო გადასახდელში

დამტკიცებულია სს „სილქნეტის" გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N01/26 ბრძანებით

კომპანიის კუთვნილი ტექნიკური საშუალებების დაზიანებისას/დაუბრუნებლობისას ხელშეკრულების/დანართის გაფორმების მომენტისთვის აბონენტზე დასარიცხი ტექნიკური საშუალებების სარეალიზაციო ღირებულება	
მოწყობილობის დასახელება	ტექნიკური საშუალების სარეალიზაციო ღირებულება
ოპტიკური მედია კონვერტორი (100 მბ)	250

ხარისხის პარამეტრი:

1. სიჩქარე გულისხმობს გარანტირებული სიჩქარეს, რომელიც მოიცავს მაქსიმალურ, მინიმალურ და ფაქტობრივად ხელმისაწვდომ სიჩქარეებს.
2.

გლობალური ინტერნეტი - მიმართულება	დაყოვნება (ერთი მიმართულება) (მილიწამი)	ჯიტერი (მილიწამი)	დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)
ევროპა	<60	<10	<2
აშშ	<100		
რუსეთი	<40		
ჩინეთი	<200		
სხვა	<250		

ლოკალური ინტერნეტი	დაყოვნება (ერთი მიმართულება) (მილიწამი)	ჯიტერი (მილიწამი)	დაკარგული პაკეტების კოეფიციენტი (%)
	<5	<4	<0.5

მომსახურების საფასურის გადახდის თარიღი

1. მომსახურების საფასურის გადახდა ხდება მომსახურების მიღების შემდეგ, ყოველთვიურად, საანგარიშო თვის მომდევნო თვის 25 რიცხვამდე.
2. აბონენტის მიერ თანხა გადახდილად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც იგი ჩაირიცხება/ასახება კომპანიის საბანკო ანგარიშზე;
3. ინსტალაციის ერთჯერადი საფასურის გადახდა ხდება მომსახურების პირველი თვის საბოლოო გადასახდელთან ერთად.

მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის სპეციალური პირობები:

1. აბონენტი ვალდებულია გადაიხადოს მომსახურების საფასური სატარიფო გეგმით გათვალისწინებული წესის და პირობების შესაბამისად;
2. მომსახურების საფასურის გადახდის პირობის დარღვევის შემთხვევაში, გადახდის ვადის ბოლო დღის მომდევნო დღიდან და/ან ლიმიტის ამოწურვისას, მომსახურება იზღუდება.
3. თუ არ მოხდება დავალიანების დაფარვა მომსახურების შეზღუდვიდან არასრული 3 (სამ) თვის (შეზღუდვის თარიღიდან თვის ბოლომდე პერიოდს დამატებული სრული ორი თვე) მომდევნო თვის 5 (ხუთი) რიცხვამდე, ხელშეკრულება წყდება.
4. მომსახურების აღდგენა შესაძლებელია მომსახურების შეზღუდვიდან მის შეწყვეტამდე, დავალიანების დაფარვის პირობით.
5. თუ აბონენტს ერთიან ანგარიშზე აქვს ოპტიკური სილქ ინტერნეტ ან და VOIP სატელეფონო/სილქ ტვ მომსახურება, ოპტიკური სილქ ინტერნეტ მომსახურების ნაწილში ხელშეკრულების შეწყვეტისას იგი არ არის ვალდებული დააბრუნოს ოპტიკური მოდემი.
6. სატარიფო გეგმით გათვალისწინებული ტექნიკური საშუალებები აბონენტს გადაეცემა დროებით სარგებლობაში, მხარეებს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

დამტკიცებულია სს „სილქნეტის“ გენერალური დირექტორის 2017 წლის 16 მარტის N01/26 ბრძანებით

მომსახურების საფასურის გადახდის, მომსახურების შეზღუდვის, აღდგენისა და შეწყვეტის არასტანდარტული პირობები:

1.

კომპანია	სამინისტრო
სს „სილქნეტი“	აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო
ს/კ: 204566978	ს/კ 245427667
კორპორატიული გაყიდვების უფროსი მალხაზ ჯორჯიკაშვილი	მინისტრის პირველი მოადგილე გაგრა მანველიძე

Silknet JSC

Digitally signed by Silknet JSC
Date: 2019.01.29 16:44:34 +04'00'